წერილის ნომერი: **30-302225736**
თარიღი: **14/09/2022**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ.“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად წარმოგიდგენთ „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“-ს (ს/კ:**233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შემდეგ გაცემულ რეკომენდაციებში ერთ ერთი რეკომენდაცია იყო მერიის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობის სფეროებს შორის ფუნქციათა გაორების აღმოფხვრა. აუდიტის ანგარიშში პირდაპირ დასახელდა „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“, რომლის საქმიანობის საგანიც ქმნიდა ფუნქციათა გაორების შთაბეჭდილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის პოზიციაა განხორციელდეს ხსენებული იურიდიული პირის ლიკვიდაცია.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. საკრებულოს სხდომაზე პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერის პირველი მოადგილის, ეკა გუჯაბიძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

2022 წლის სექტემბერი
ქ. ლანჩხუთი

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“-ს (ს/კ:233733984) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“-ს (ს/კ:233733984) ლიკვიდაცია.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**